*ანა ქირია*

# გება-გამოსვლა-დაბრუნების ნეოპლატონურ-პროკლური ტრიადის ტრანსფორმაცია ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეორიული დავალებულობა ზოგად ნეოპლატონურ პრინციპებზე და პირდაპირი დამოკიდებულება პროკლურ წყაროებზე დღეს თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული. ნეოპლატონიზმზე, განსაკუთრებით კი მის პროკლურ ვერსიაზე, ფსევდო-დიონისეს აშკარა ტერმინოლოგიური და კონცეპტუალური დამოკიდებულება აჩვენებს, რომ არეოპაგიტიკა ნეოპლატონიზმთან მიმართებით ფორმალურ კონტინუიტეტს ქმნის. თუმცა, სადავოა, რამდენად ემთხვევა ფსევდო-დიონისეს მიერ ნეოპლატონურ ენასა და სააზროვნო ფორმებში ნაგულისხმევი შინაარსი თავდაპირველ ნეოპლატონურ შინაარსსა და მნიშვნელობას; სხვაგვარად, რამდენად ნეოპლატონურია თავისი არსით ფსევდო-დიონისეს სწავლება. წინამდებარე სტატიის მიზანია, გება-გამოსვლა-დაბრუნების (μονή, πρόοδος, ἐπιστροφή) ფუნდამენტური ნეოპლატონურ-პროკლური ტრიადის ტრანსფორმაციის დემონსტრაცია ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან, რისთვისაც თავდაპირველად გადმოცემული იქნება, თუ როგორ იგებდა პროკლე აღნიშნულ ტრიადას, ხოლო შემდეგ გაანალიზდება ფსევდო-დიონისეს „ღვთაებრივი სახელების“ ის პასაჟები, რომლებშიც ეს ტრიადა ფიგურირებს. პროკლესთან სინამდვილის ლოგიკა ტრიადულია. მთელი სინამდვილისა და ნებისმიერი საგნის არსებობის დინამიკა გამოიხატება გება-გამოსვლა-დაბრუნების ტრიადით. ეს ტრიადა ასახავს როგორც რეალობის მიზეზობრივი განვითარების პროცესს, ისე მისი ფუნქციონირების საფუძველმდებარე სქემას. ფსევდო-დიონისე პროკლესგან იღებს ამ ტრიადას, თუმცა ტრიადის მისეული გააზრება და, ამგვარად, სინამდვილის განვითარებისა და ფუნქციონირების მისეული ხედვაც პროკლესგან სხვაობს. ჩვენი რწმუნებით, ფსევდო-დიონისესთან გება-გამოსვლა-დაბრუნების ფუნდამენტური ნეოპლატონურ-პროკლური ტრიადის ტრანსფორმაციისთვის თვალის გადევნებამ შეიძლება შეასრულოს გასაღები როლი ფსევდო-დიონისეს უნივერსუმის თავისებური ბუნების საწვდომად.

პროკლესთან გება-გამოსვლა-დაბრუნების ტრიადაში დაბრუნებას აქვს არა ესქატოლოგიური, არამედ ონტოლოგიური მნიშვნელობა. შესაბამისად, ის გულისხმობს არა გამოსვლის მოხსნას, ძველი მდგომარეობის აღდგენასა და მიზეზთან იგივეობაში დამთხვევას, არამედ, მიზეზისგან განსაზღვრულობის მოპოვებისა და მიზეზთან დამსგავსების გზით, შედეგის დამოუკიდებელი რეალობის ფორმირებას. ამიტომაც, პროკლესთვის მთელი ყოფნის სტრუქტურა ტრიადულია და გულისხმობს ანტითეტურ პრინციპთა (საზღვარი-უსაზღვრობა, ერთი-სიმრავლე, მონადა-დიადა, გება-გამოსვლა) ერთმანეთთან შერევას ან სინთეზს. ფსევდო-დიონისესთან ტრიადის მესამე წევრი – დაბრუნება – ახალ, ქრისტიანულ ესქატოლოგიურ მნიშვნელობას იძენს. ამ მხრივ გადამწყვეტია DN VI 2, 191, 15–192, 3 (Suchla) მონაკვეთი, რომელშიც დაბრუნება სხეულთა აღდგომას უკავშირდება. ნეოპლატონური დაბრუნების მნიშვნელობის ონტოლოგიურიდან ესქატოლოგიურისკენ შეცვლით ფსევდო-დიონისესთან, თავის მხრივ, ირღვევა პროკლეს ტრიადული დიალექტიკა. ფსევდო-დიონისე არსად არ აქცენტირებს ყოფნის ტრიადულ ბუნებას. მასთან არცერთხელ არაა გამოყენებული ნარევის (μικτόν) ცნება. სინთეზის ცნება გვხვდება, თუმცა არაონტოლოგიური მნიშვნელობით, ცნებები ტრიადა და ტრიადული კი მხოლოდ ქრისტიანულ ტრინიტარულ კონტექსტში ფიგურირებს.

*Ana Kiria*

## THE TRANSFORMATION OF THE NEOPLATONIC-PROCLEAN TRIAD OF REMAINING, PROCESSION, AND REVERSION IN PSEUDO-DIONYSIUS THE AREOPAGITE

Theoretical indebtedness of Pseudo-Dionysius the Areopagite to general Neoplatonic principles and his direct dependence upon Proclean sources is nowadays almost universally accepted. The evidence of terminological and conceptual correspondences between Pseudo-Dionysius and Neoplatonism, especially its Proclean version, indicates that Corpus Areopagiticum establishes formal continuity with regard to Neoplatonism. Nevertheless, it is controversial to what extent the content implied by Pseudo-Dionysius in the Neoplatonic vocabulary and forms of thought coin-

cides with original Neoplatonic sense and significance, in other words, to what extent the essence of his doctrine is Neoplatonic. The present paper aims to demonstrate the transformation of the fundamental Neoplatonic-Proclean triad of remaining, procession, and reversion (μονή, πρόοδος, ἐπιστροφή) in Pseudo-Dionysius the Areopagite, for which we give an account of how Proclus understood the aforementioned triad first and then analyze the relevant passages of De divinis nominibus where this triad occurs. For Proclus the logic of reality is triadic. The triad of remaining, procession, and reversion expresses the dynamics of the existence of all reality and every single entity. This triad depicts the process of casual evolution of reality as well as the underlying scheme of its functioning. Pseudo-Dionysius adopts this triad from Proclus but his understanding of the triad and, therefore, his vision of the evolution and functioning of reality differs from that of Proclus. In our opinion, pursuing the transformation of the Neoplatonic-Proclean triad of remaining, procession, and reversion can play a key role in grasping the particular nature of the Pseudo-Dionysian universe.

In Proclus, the triad of remaining, procession, and reversion has no eschatological but ontological significance. Hence, it does not mean the abolition of the procession, restoration to the primordial condition, and coincidence with the cause in identity, but instead the formation of an independent reality of the effect through getting determined from the cause and becoming similar (not identical) to the cause. Therefore, for Proclus, the structure of being is triadic and entails the mixture or synthesis of antithetical principles such as Limit and Unlimited, One and Many, Monad and Dyad, or Remaining and Procession. In Pseudo-Dionysius, the third term of the triad – reversion – gets a new, Christian eschatological meaning. In this respect, DN VI 2, 191, 15–192, 3 (Suchla) is crucial. In this passage, the reversion is associated with the resurrection of bodies. With this shift of the sense of Neoplatonic reversion from ontological to eschatological one Pseudo-Dionysius undermines the Proclean triadic dialectics. He never accentuates the triadic nature of being. There is no use of the term of the mixture (μικτόν) in his texts; the term of the synthesis appears but not in the ontological sense, and the terms of the triad and triadic occur only in the Christian trinitarian context.